

# თბილისი

1889 წ.

№ 28, 29 & 30

ოქტომბრის 15-

გ. ზოთ დისტანცია — ერთის წლით — 5 მ. ნაზე —  
ვარის წლი. — 3 მ. ცალკე ზომერი — 15 კ.

ხელის მოწერა და წერილების გამო  
გზაზე შეიძლება ამ დრუჟით: თიფლისი,  
Вторая Иагорная ул., д. № 9. Петру  
Мирланашвили.

რედაქცია არ ისარელობს, წერილების უან გაგზავნას და მათ მცხარებ  
მოწერა-მოწერისა.

განვითარებას გამოვზარდა  
წერილებს უნდა ჰქონდეს მოწერილ  
სახელი, გვარი და აღრიცხვა ავტორის.

ქართველია თქატი  
ცხმარას, 17 ოქციანერს  
გვივისი

გ. ა. აბაშიძის  
ქართულია ოქატის  
არც-სტეპი წარმოადგენე  
ალიაშვილი  
კუთილშოთილ სახლში  
დრომა 3 მოქმედ

ბარეუში  
კომედია ფარსი 2 მოქმედ.  
შ. ათამაშენი: ქ. სა-  
ია-მო-როვისა, გაბ.-ტე-გა-  
რელი, ჩერქე-ზე შე-და-  
ს: დ. განაბიძა; ბ. ა-ბ-  
შე-ე, ყიფიანი, მაჩ-ბე  
ლი, გადეგანოვი, განდე  
ლა-კი და-მე-ლი-და სხვ.  
ადგილების ფარსი ჩვეუ-  
ლებრეგა.

დასაცისი 8 საათზე.

თბილისი, ოქტომბრის 17-ს.

გვასწავლის რასმე კავკასიის გამოფენა  
თუ არა? აი საკითხი, რომელიც დაებადება  
ცნობის მოყვარე ადამიანსა. მართალია,  
ბევრი რამ უნდა გვასწავლოს, მაგრამ კი  
კერ გვასწავლის. მე და შენ მაგალითად,  
ქალაქის მცხოვრებთ შეილება უკეთესიც  
ვევნახოს ან პირველად ვხელავდეთ, მაგრამ  
იმ დროსვე-კი ამ გამოფენისაგან შეძნილ  
ცოდნას საქმეში ვერ გამოვიყენებთ. სხვა-  
და სხვა თემის ნაწარმოებს ნახავს კაცი,  
თითქმის შეადარებს კიდეც ერთმანერთს,  
მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ყოველივე მარტო  
ვაჭრების, მოხელეების და მათ საერთოდ  
ოჯახობისთვის არის რაღაც თავის გასა-  
რთობი. მწარმოებელნი, სოფლელო-ჭი თვა-  
ლით არა საჩანან. მაშინ როდესაც მათი თემთვემად გამოწვევა დრდს  
სარგებლობას მოუტანდა საზოგადოდ ჩეცნის ხალხის მრეწველო-  
ბასა. ერთის თემის საკუთრებო ხელობა მეორეში გადატენდოდა  
და ამ გვარად ერთმანერთის ნაფლა შეიცვებოდა.

\* გვ. 1889 წ. 10 გვ. 1889 წ. 10



საკუთრად ჩვენის ხალხის ნაწარმოები ძლიერ იშეიათად იპოვება გამოფენაზე და რაც არის, ისიც თითქო მიმალულსა- ვით აქა-იქ მოჩანს. ვერ ყიტული, რომ შინაური მრეწველობა და ხელ-საქმე ჩვენში ხალხში არ იყოდეს. უკანასკნელი ხომ თითქმის იმდენად არის განვითარებული, რომ დღევანდელ ევ- როკეტულ ხელ-საქმის მინუშალაც-კი გამოდგება.

ვის ან გაუგონია ჩევნებური ბეჭვა, ქარგვა თუ ქსოვა. სამალაჯა (ჯეჯიმი), დარაია, ლეკვერთხი, პირწალმად ნაქარგი შერ-ლინი და გობლენისებურად ნაცერი ღლესაც აღტაცებაში მოაყ-ვანს მნახველს; ამას გარდა შალების კეთება იმდენად არის გაფრ-ცელებული, რომ ზოგიერს მაზრებს ცხოვრების წყაროდაც გა-დაქცევიათ ეს ხელობა. ძველებურად ქარგვა გულის-პირის, სარ-ტყელის და სამკლავეების იმდენად საინტერესოა, რომ ღირდა მათი ნახვა გამოიყენაშე; ან სად არის ის საეკლესიო ქარგვა, რომლითაც თავი მოხწონდათ ჩევნს დედოფლებსაც-კი. მე-XVII საუკუნეში? როსტომ მეფის მეუღლე, დედოფალი მარიამ სახელ-განთქმული მქარგვავი იყო საეკლესიო ნივთებისა. მართალია ზოგი გადავარდა და ზოგმაც უშორესი და ახალ მოთხოვნილე-ბასთან შეფარდებული განვითარება მიიღო, მაგრამ საჭირო იყო მათი გამოწყობაც აგრეთვე. გიშრის თუ თხის წარმოებაც სრულიად არ ჩნდა.

ମାତ୍ର ତୁ ଆଖ୍ୟାକୀ ଲେଖେ ଗାମନ୍ଦ୍ୟଙ୍କାହେ ହେବିଲେ କୋଣିଲେ ନାହିଁଏ  
ମୋହିବୀ, ଏହି ଉନ୍ଦର ମିଶ୍ରକୋଟି ଶୁଣି କେବା ଗାର୍ହମୋହିବା, ପିଲାର୍ଜ ପା-  
ତମିପୁ ମିଳି ଯୁଗିବାକାବୀ. ମାଝରାଥ ସାବୁରୁଷ୍ୟଲୋକୀା, ରାମ କ୍ଷେତ୍ରାବୀ  
ପ୍ରକାରାଧ ଦାନକାବୀରୀ, ତୁ ରାମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତାଲୋକ ସାହାରତପ୍ରେଲୋ, ରା ଗା  
ମନ୍ଦିରିଲେ ମିଳିଲି କେଲିପାରି. ଅଥ ଗାର୍ହମୋହିବାମ ଶ୍ରୀ ଲେଖା, ଶ୍ରୀଗୋରତିଲୀ  
ଲ୍ଲାଗାମି ଗୁପ୍ତପଦୀରେ ଲା ହେବିନି ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତିଲେ ଦାସପ୍ରେଲୀ ମହିନ୍ଦିରାଫ୍ରେ  
ଶାମାରାତିଲୀରାନାଧ ଶ୍ରୀର୍ଷିଷ୍ଠାର୍ଜେବିନିରେ.

ისრე ვერც ერთი წოდება ვერ გაუძლება ამ აზრის განხორციელებას, როგორც თავად-აზნაურობა და იმედია სახელის აღსაფერონად შაინ ც თავს მოუყრის ერთად თავის ქვეყნის ნაწარ-

მოქმს, ხელ-ნასაქმს, ისე როგორც ის ცდილობს ხელი შეუწყოს თვის წინაპართა გონიერის ნაწარმოებთა დაცვას ფამია ვითარებისაგან.

X.—

## ახალი მშენებელი

წარმოსადგენად მზადდება ფრანსეს კოპეს სუთ-მოქმედებინად დრამა «ტახტის მქიდებელი» ანუ „იაკობიტები“. ეს დრამა იძებნად სახელგანთქმულია; რომ უკადგას თამაშობენ და საპატიო არ იქნება ჩვენთვის, რომ „სამშობლოს“ და სხვა კლასიკურ შეისების შემდეგ ისიც არ ნახოს ჩვენმა საზოგადოებამ. ამ დრამის შენართვა და განსილვა წარმოდგენის შეშდებ ნომერში დაიბეჭდება.

მივიღეთ ბ.ბ. ჩარკვიანისა და ივანცხაგას ქართულის წიგნის მაღაზიისაგან გამორჩეული წიგნი უქმაწევდების ფიზიკური აღმინდა“, შედგენილი ბ-ნი გ. იოსელიანის მიერ. წიგნი სულთად და ღვამაზათ არის დაბეჭდილი და მისი ფასი კრთი აბაზი ძვირი არ არის. ეს წიგნი უფრო გამოსადგებია დედებისათვის და კვრებით მასშია დამტკიცირა უძღვნათ მკითხველებს.

მივიღეთ აგრეთვე მეორე ქართული წიგნი უკოდტერი“ შედგენილი ფ. ჭიჭიანისაგან და საკმაოდ სუფთად დაბეჭდილი.

ბ-ნი აღნაშვილის მგალობელთა გუნდმა ამ თვის 8 ს გამოიქანარე იმდერა ქართული საქონ სიმღერები და საზოგადოება დადის თანაკრებნობით მიეტება. მასგან უცხოთაგანზე როგორც ს. მაკარი

ისე ტანისაშოთა მომსიმღელები მოქმედებდა. საზოგიდოებას იმ-  
დენად მოსწონებია, რომ გამგე კომისიურის საჭიროდ უკიდ კიდევ  
ადრინაშეიღის მგალობელთა გუნდის მოწვევა.

## ქართული თეატრი

(ცხოვრების მეჯლიშზე, დრო 4 მოქ. კ. კრისტიანისა,  
გადმოკ. გ. ნასიძესაგან).

ამ თვის 10 ქართველის არტისტების ამხანაგობაშ წარმო-  
ხდებინა ვ. კრისტიანის 4 მოქმედებიანი ღრამა «ცხოვრების მე-  
ჯლიშზე» ქალ-არტისტის ავალოვის საბენეფისოდ. საზოგადოება  
ნაკლებად იყო. პარტირი მომეტებულ ნაწილად ცალიერი იყო,  
მხოლოდ გალერეა გაევსოთ მოსწავლე ახალგაზღებს, რომელთა  
შორის მდაბიოთაგანსაც მოჰკრაება თვალსა ადამიანი.

შინაარსი ღრამისა შემდეგია: ერთი ახალგაზღადა განათლე-  
ბული კაცი ვერგინაშვილი შეიყვარებს თავის მეგობრის აგრეთ-  
ვი განათლებულის კაცის სიმონიძის ცოლს ნელლის. როცა  
სიმონიძე საფარიდამ თავისის თვალით დაინახას მათი სიყვარუ-  
ლის დამამტკიცებელს საბუთს, მაშინ ღრმად აღელვებული და  
გულ-მოკლებული ნებას აქლევს თავის ცოლს, რომ წაჟყვეს მის  
ახალგაზღადა საყვარელს. ნელლის ეტრფოდა ადრევე ერთი ახლად  
ჩამოსული სამზღვარ-გარეთიდამ მექარენე, რომელიც ჭიროვით  
სძულდა.

მალე ნელლი და ვერგინაშვილი დიდს გაჟირებაში ჩაერდე-  
ბიან, და ამ ღროს მექარენე თავის ვექსილებით შოვილობის  
მათვეის ფულს. მაგრამ საუბედუროდ ეს ვექსილები ყალბი  
გამოდგება, რაღაც აც მექარენის მაგიერ ხელი ზედ ერთს გაიძვე-  
რა მოხუცებულს კაცს უწერია. ამ სიყალბეზ ცოლქმარი მახე-  
ში გააბა. ამ ამბავს შეიტყობს ნელლი, გაუმნელს ვერგინაშვილს,

მაგრამ ეუბნება, რომ თუ 1200 მანეთი სასწრაფოდ არ მიშოვანება, ჩემი ბედი და სინილის ყევლა დაკარგული იქნებათ, და მე ისულებული გავხდები მექანიკებს წავკვეთ. ვერგინაშეილი თუმც ეჭვიანობდა ნელლის არ ფუკარებორო, გაცხარებული მაინც დაეძებს ფულს და რომ ვერსად იშოვნის, მიმართავს თავის ძველს ნაცნობს სიმონიძეს რომელსაც ეცვეწება გაჭირვებულს ნელლის დაქმარე, ისევ შეგვივარებს და მე კი დღეის იქით იმას მოვზორდებით. ნელლი მალე შეიტყობს ვერგინაშეილის თავის მოკვლას და ბოლოს იმის გაჭირვება იქამდე მიგა, რომ მექარენებს ხასად უნდა დაუჯდეს კიდეც უჯდება. მარტოხელი სეინონიძე მოკლე ხანში კალარა ხდება და დაიწყებს აეთმოყოფობას. როცა ვერგინაშეილი გამოეცხადება და ნელლის ამბავს უმშობს, საჩქაროდ დაპირებს წასვლის და ნელლის დახმარებას, მაგრამ მეტის აღელვებისაგან იძნიდება და ავად ხდება. ერთის თვის განმავალობაში იქი ჩამოდის ქლაქში და გამოეცხადება ნელლის, მექარენებს ოთახში, საღაც იმ ღროს ეს უკანასკნელი ბრძოლება. მექარენებს ნელლი მეორე ოთახში გაისტუმრებს და სიმონიძე თავის ცოლს ყველაფერს აპატივებს და გაუშვერს მეგობრის ხელსა, მაგრამ ნელლის თავის თავი სიმონიძის მეგობრობის ღირსად არ მიაჩინა და უარს ერყების. უიმისოდაც დასუსტებული სიმონი-ე მრთლად ჰკუაზე შეიმლება და რომ განათავისუფლოს ნელლი უპატივასო ცხოვრებისაგან, მოჰკლავს.

სიმონიძის როლს თამაშობდა გუნია. ამის თამაში მოსახ-  
ტებულია, მხოლოდ მეტყველება არა აქვს ბუნებრივი, მისებური  
და მაყურებელზე ხმის შეუფერებელი ნახელავობა ცუდად მოქმე-  
დებს. კარგია და გრძნობით მოთამაშე, საღაც უნდა ჩაიღინოს  
ისეთი რამ დანაშაული, როგორიც არის მაგალითად კაცის მოკვ-  
ლა, ამ დროს ისე მოზღვავებულად აწვება გრძნობა, რომ თით-  
ქო კალაპოტი შეტად ვიწრო აქვს და მისგამო საშინლად აჭ-  
ფოთებს...

ნელლის ჩოლს თამაშიობდა თეითონ ბენეფიციანტი ქ-ნი ავალოვდისა. მისი თამაში განიერულია, მაგრამ ჩვენა კუიქიობთ,

რომ იყი უფრო გამოიჩინდა თავის დრამატიკულს ნიჭს იმას-  
 თანა როლებში, სადაც არის გიმიუგანილი გმირი დედაკაცი,  
 თავანწირული რამე საგნისთვის და არა უპრალო მსხვერპლი  
 ბიწიერის ცხოვრებისა. მას აქებენ ტრეჩია მოლოზნის როლში (\*  
 და უკეთესი იქნება კელავ მაინც უფრო თავის შესაფერს როლს  
 ამორჩივდეს. ცუგრუშელა, მოტრუიალე ქალების როლებს უფრო  
 ეწყობა ქანი საფაროებისა.

ეს წარმოდგენა, კარგი იქნებოდა; რომ გამორთულოყო ბ-ნ  
 ვ. აბაშიძის და ქ-ნ. ხერქეზიშვილის გამოსაჩენად. პირველი თა-  
 ვისებურის ხელოვნებით თამაშობდა კანცელარიიდამ გამოგდებულ  
 ლოთხა და გაიძვერა მოხუცებულს, მეორე კი სეიმონი-ის გამ-  
 დელს.

მხოლოდ ამათი შაუქრებელი იფიქრებდა, რომ ხედავდა  
 ნამდვილ გაიძვერა მოხუცებულსა და გამდელს და არა აბაშიძეს  
 და ხერქეზიშვილის ქალს.

დანარჩენი უმთავრესი მოქმედნი პირნი მკრთალად გვიხა-  
 ტავდენ საზოგადო ტიპებს და ამიტომ სიტყვას არ გავაგრძე-  
 ლებ-თ.

რაც შექება გაღმოკეთებას უნდა ვსთქვათ, რომ პიესა ვერ  
 იყო რიგიანად გაღმოქართულებული და ენასაც აკლდა სიმკეორ-  
 ცხლე და სიცხველე, ალაგ-ალაგს ეტყობოდა გაუგებრობა. ამასთანავე არტისტებმაც თას ადგილს სრულიად უკულმა სთქვეს  
 უწმდევი სიტყვები: ფულის გაღმერაება და სისხლით აფეხა  
 გ კლისა.

ბენეფიციანტს მიართვეს გვირგვინი და ფული. დასასრულ  
 გაიმართა ლეკური და ჩერულებისამებრ ქ-ნმა ქახი ისამ (ანდრო-  
 ნიკოვის ქალმა) თვისის ხელოვნურის ცყველი დაატებო ს. ზო-  
 გ-ლოება.



(\*) პიესაში: «მონასტრის ზღუდვება. შ. რიტ».

## პ. სანდაც პასუხისმა

(„ავერია“ № 213):

დადგა შემოდეომა და დარბაისელმა «ივერიაშაც აკა-  
 კის პირით მორთო «ბოდეა». ბოდეა ჩეეულებრივი მო-  
 ვლინება და ივერიას ამ სენს არავინ უკიფინებდა, მაგ-  
 რაც სასაცილოა, როცა «ივერიის» პუბლიცისტებს სალისა და  
 ჯანმრთელის აკაკის ოხურჯობა ნამდეილ ბოდეად მოსწერე-  
 ბიათ... საკეიროელიც არ უნდა იყოს. თავისის მჭერმეტ-  
 ყველებით აკაკი აჯაღოდებს, ჰებძლავს საზოგადოებას და  
 რა დიდი საქმე იქნება „ავერიის“ მოღვაწენიც მოაჯადო-  
 ეოს... მართალია დიდი შრომა დასჭირდებათ!.. მრთელს ზაფ-  
 ხელს სულ ბუზებს გეზრობდით, ფარ-ბმადს იმათ გუშნევდითა; ხან  
 ერთი ბუზი გადადითდა მაღაցს ჩეკის შებღუბედ, ხან მეთარეთ, —  
 ასე მოგეითხრობს ბ-ნი სანო. ეხლა ერთი მიბარეთ, მოელ  
 ზაფხულს პუბლიცისტის ფიქრი და აზრი სულ ბუნების  
 ბრძოლაში იყოს და ამ პუბლიცისტმა აკაკის „ბოდეის“ გამო  
 ნამდევილი ბოდეა რამ დაიწყოს, განა საკეიროელი იქნება?!..  
 საბრალო რაინდს აულია და პბოდავს კიდეც აკაკისებურად  
 კი არა, სწორედ ისე, როგორც კარაბადინში სწერაა და რო-  
 გორც ჯანაოზი განმარტებს... აკაკი გაზეთის ზემო „პბოდავს“,  
 უითომ რა, მე ქვემოდამ ბანი მიეცო!.. ძრიელ კარგი, მაგრამ  
 აკაკის „ბოდეა“ სატირიული მახეილია და სხვა არაფერი. ბუ-  
 ზების კერძით შეწუხებული რაინდი კი მოპყოლია და მარ-  
 თლაც ისე უთავებოლოდ ისერის სიტყვებს, რომ უნდებურად  
 კარ. ბადინი გაგონდება და მზადა ხარ ჯანაოზს დაუძახო...

საქმე ისაა, რომ ბ. სანო „კრიტიკანების“ პბულის  
 მეტად შეუწუხება. ეს „პბული“ კიდევ ის გახლავთ, რომ  
 „კრატიკანები“ ამბო იენ „ივერია“. ვერ მიჰყავს საქმე, რო-

გურუ უნდა და ეს იმიტომ, რომ ნიჭერ მწერლებს უფრთხის და კერძო ეწყობათ. ბ-ნი სანო თავისის „უარესობით“ კბრძების ამ უბრუილს“, მაგრამ ერთი რამე კი აეიწყდება: საზოგადოება სწორედ იმ ჰაზრისაა, რასაც „თეატრი“ ამბობს და ნამ გეორგიერინებათ-ხმა ღვთისა და ხმა ერისოა. „თაეტრის“ «ბრუილის მხოლოდ საზოგადო და საერთო აზრის გამოთქვა და სხვა არაფერი. თუ ასეა, მაშ რა არის აქ საწყენი? მაგრამ ბ-ნი სანო-ეი დაკირეცხული არ არის საქმეზე, არა სჯერა და არა ჰერევს, რომ ივერია თავის მოვალეობას ჯეროვანად ეცნოს არულებს? ამას ბრმაც კი დაინახავდა და ბოლევა ხომ სიბრძნე არ არის; ხოლო სანო სხვანაირად სჯის. «ქართველი საზოგადოება... კერძო ეწყობა, კერც საზოგადო და კერც სამოქადაჭი საქმეს, თუ აზრსა... კერც ერთი საზოგადოებრივი, თუ სამეცნიერო ნაწერი კერძო გადადგამს ჯერ ფესვებს ჩვენებულ მეოთხედის ტვინსა და გულში... დაალ, ჩვენც იმას ვჩივროთ, რომ ასე აბუჩად იგდებოთ საზოგადოებას და გაიძახით ვითომ ქართველობას არ შეუძლიან შეიგნოს საზოგადო და სამოქადაჭი საქმე და აზრია... მიზეზიც აქ არის, რომ ესაქმეს და აზრს» თქვენ არ ეკიდებით და „მეოთხედის ტვინი და გული“ კიდევ კარგათ სცნობს და გრძნობს ყველაფურს და საყველურსაც აცხადებს. თუ ასეა, მაშ 『თეატრმა』 ჩაღა დაგიშვათ... „თეატრმა“ მხოლოდ ისა სოქეა, რომ ნიჭერის მწერლებს ერიდებით, თორემ საქმეც გაკეთდებოდა და აზრიც გამოითქმებოდა... და განა ეს ტყუილია?! მაგრამ მწერლის ლინება და მისი ნიჭი რა საჭიროა იქ, სადაც ღრმადა სწამთ, რომ სულ ერთია თუნდ ცერცვი შეაყარო კედელს და თუნდ სამეცნიერო და საზოგადოებრივი წერილები სწერო ქართველობისათვეს... და ყურად სალები კიდევ ის არის, რომ ასეთი ბოლევა დარბაისლურ მსჯელობად მიჩნიათ!

მართლა ამ დარბაისლობაზედაც ბატონი სანო მხოლოდ უგემურად ცუონება, როცა ამბობს, რომ „უდარბაისლობა კარგი თვისება და საზოგადოება-გი გვიწუნებსოა“... არა, „დარბა-

ისლობას“ კი არ გიწუნებენ საზოგადოება იმას ამბობს, რომ „იცემია“ სიცოცხლეს მოკლებულია და წევთ—დაცემულს სულიერს შპცვაესო. ამ თვასტას ხამ საქართვ არა აქვთ რა „დარბაისლობასთან“... და საქმეც ის არ ს ვიცოდეთ—სად თავდება „დ. რბაისლობა“ და სად იწყება ტეინის სიღამბლე. თუ მიჯნა არ ეიცით და სამჩნევრი გაშინჯული არა გვაქნა, აფეილად შეიძლება ბევრს ვისმე, აი თუნდა: რამელამე სქელ-კანა ცხოველს, დარბაისელი ჰერნია დავარქეათ. დიალ უპედურებაც ის არის, რომ ზოგიერთს დატრანსტრაქს — პარადიგრამებს თავის თავი დარბაისელი ჰერნია და ნამდეილი საკუთარი თვისება კი ვერ შეუგნრა. რას იზამ, როცა უცვლაზედ უძნელესი თვისი თავის ცნობააო!..

ბ. სანო კი მოპყალია და გეიაშბობს ჭორიკანაობა, ლა-ნძლეა თრევა ცუდია და დარბაისლობა კარგია, თითქა აე-ლებდეს ვინმე ეჭორიკანაკეთ და ილანძლეთო.. არა, მკით-ხველი საზოგადოება სულ სხვასა „ბზუის“ და თუ საზო-გადოებას ყურა არ ათხოვებთ, ესეც თქვენის „დ. რბაისლო-ბისა“ ბრალია.

ბერლინელი შელედსანე

აქციამშრის 8.

## შ უ რ ი

დერუს მოთხოვნა

ისინი ცხოვრებდენ პროვინციის სასტუმროს ერთ ნო-მერთაგანში. მთელ დღეს ერთათ ატარებდენ; და კარ-დახშუ-ლინ ერთმანერთს თვალებში უცქერიდენ პატარა-ავგულა ფინია თავის ახალგაზდა ქალბატონის დანგრეულ კრაოტზე მორგესავით მწილარე, და სწორული ბავში, რაღაც თვალებ-



ატკიცებული, რომელიც თვისის მკრთალის სახით მიჰყუდებოდა ფანჯრის ჩარჩოს მოშავო შუშას.

არასოდეს არ უთამაშნიათ ერთად, რაღაც შური და სი-  
ძულვილი ერთმანერთისა ლილი ჰქონდათ.

საღამოს ხუთ საათზე აკტრისა მოვიდოდა ხოლმე ჩეცეტიციი-დამ. ბაეში პირებელი თვალს მოჰკრავდა დედას ქვა-ფენილზე სა-სტუმროს მოსახვევში. რა კი აკტრისა კიბეზე ფეხს შედგამდა, ფინია იმ წამსევ იცნობდა ქალბატონს მის ფეხსაცმლის ჭრაჭუჩზე. ყმაწვილიცა და ძალლიც ორნიერ კარებს მიეკა-დებოდენ, ფინია. ყევით ყმარწვილი «დედილოს» ძახილით, ორნიერ მეტად მოსურნენი პირებელის ალერსის მიღებისა.

გასალები მოქლონზე (ზამოკ) გადასატრიალებლად იყო ხოლმე დარივებული. ქალბატონი შედიოდა. დიდი ქუდი «მუშკატერ» შეტაც ქერა. თმის უჯარედა, რუხე თვალები ჰქონდა რ ღაც ციფად გამომეტყველი, ტანთ ეცვა შეაის გახეხილის ხაერიდას ამაზონი, რომელსაც ეკერა გახეხილიერ ფოლაძები.

ფინანსის სიხარულისაგან ქალბატონს თითქმის ხელვაზი  
უკრდებოდა.

აკტორისა უყვიროდა მაშინ:

— ჩუმად, თათავ, ჩუმადო!

ხელში აიყვანდა ფინის, ჰუკონიდა მას პრიალა დინგა  
და თეთრ გრუზა ბალანზე.

ბავში ამ ღრუს დედოს წინ იღება. თავნალუნული და  
პირ-მოკუმული უცდიდა როგორა. ხშირად მოუფერებელი და  
ჩებოდა. ეს კადევ არაფერი, არც მიიკარებდენ ხოლმე, მი-  
ტომ რომ ბავში ყოველ დღეს რაღაცას დაშავებდა: ხან ბრინ-  
ჯის-პულრინ კოლოფს თავდალმა აქცევედა, ხან ტუჩიზე წა-  
საცნებ ჭავჩის სალებაენით ამშევენიცრებდა ვითომ სამოლდო  
ეურნალის სურათებს, ხანაც იარაკს ჰევიდა კურდლლის თა-  
თითა.

მაშინ აკტრისა გაჯავრდებოდა და თეისის ხმელის თითოებრო ყბებში სცენი საწყალობელია.

— გაიგონე, წუწე, — ეცნებოდა, — მარტო ამ მეტი ძახელით სცენი ბავში თავის თავს, — თუ კიდევ გააჯავრე, ეცნარ დაგაუწებ აქ, აგიყვან და ბუხრის წმენდელს მიგყიდიო.

„წუწე“ ოხრაედა; ხეითქი-ცრემლით სტიროდა, როცა გაიფიქრებდა თავის გაუდევას და უნახველობას იმ ჩერჩეტის დედისას, რომლის სიყვარულს იგი გრძნობდა ფიქიზს, მიუწდომელს და მეტად ძლიერს მისი ბავშურის გულისათვის.

თუ აკტრისა არ ჩაჰკეტდა ბავშს ბნელ საკუჭნაოში, სადაც ძონძებს და ძევლ ტანისამოსს ინახაედენ, ვაჭს მუხლზე დაისვამდა, ტუჩებსა და თვალებში ჰკოც: და ან და აკეთებდა ორს ბაზტს სწორედ ორად გაჭრილ ლენტისაგან, ერთით ხუჭუჭა თმას შეუკრაედა თავის ვაჭს, მეორეს კი გაუკეთებდა ფინიას, თითქო საყელური რამ ყოფილიყოს და ეტყოდა;

— მე მინდა რომ ერთმანერი გიყვარდეთ ძებსაეგითო. მაგრ. მ ამისთანა სინაზით აღსავს ფრაზებს იშვიათად ხმარობდა, თითქმის ყოველთვის თათავს ეფენდოდენ, ყმაწვილი კი ათვალწუნებული ჰყავდათ.

საღამოს, როცა ბ. აღგუსტი, ასტრი ტების პარიქმინი მოეიდ და, რომ აკურისისისთვის თმა და ეკარცხნა, ბავშს ჩაჰკეტდენ ხოლმე საკუჭნაოში, სადაც სკარტზე იჯდა ბნელში საწყალი. ამ დროს ფინია არხეინად დარბოდა ოთახში, და რომ გამოეჯავრებინა თავისი მტერი, მიიჩნევდა ხოლმე საკუჭნაოს კარებთან და მორთავდა ყეფას; ბოლოს, როცა აკტრისა თეოტრი მიდიოდა წარმოდგენაზე, თათავიც თან მიჰყავდა. ხოლო „წუწე“ უღამპოდ დაგდებული (დედას ცეცხლისა ეშინოდა), შუბით აღვსილი საბანს კბილებით გლეჯდა, დივ. ზნე მწოდებე სრულიდ მარტო. იგი ფიქრობდა:

— თავაეს რომ უკეთები გაეცმიკა, დედას მე უფრო ვე-  
უკრებოდი.

ამ აზრში ყმა-წერალის თავში დაიბუჯა: გულში გაიუქრი-  
ოინიას მოკელა როგორმე.

წამოდგა იდაყვით და ორავ ხელით თელვა დაუწყო  
ბალიშს და თანაც ფიქრობდა:

— განა შეეძლებ მის დარჩობას?

მდელარე ურემლი შიშველა გულზე ჩამოსდომდა, მაგრამ  
მწერალებას უმცირებდა იმისი ფიქრი, რომ თათავი წვალებას  
დაწყებდა, ეიძრე ფარგებს გაჭიშვედა.

ერთხელ ბაეშმა, საუზმეს შემდეგ ყავა უშაქროთ დალია  
და მიუკეთდი შაქარის ნატეხი ჯიბეში ჩაიდა. დედა რო წა-  
კიდა, თათავთნ მიეიღდა ყვაწვილი და პრმათნედ ფერება და-  
უწყო.

ფანია თბილად იწვა, გახვეული პენუარში, რამელიც  
ეკიდა ლოგინის წინ ხალიჩაზე. მხოლოდ პატია დინგი და  
ლერსმინის თაესაცით მრგვალი თვალები უჩნდა მაქმანში (კრუ-  
ჭევა). თათავმა ბუზლუნი დაწყო, მაგრამ მსუნავობაშ და-  
ძლია, ნელ-ნელა გამოძერა თავის ბუზიდამ, დასუნა შაქარს.  
რამდენჯერებული კიდეც გალოკა, აწერა თავი, გააღო პირი  
და მიეარდა სასუსნაეს, რომელსაც პთავაშობდენ. მაშინ ყმა-  
წერილმა თავი დალუნა, თათქო უზღვდა თავაეს მაუკერებოდა.  
წაილო ხელები ყუჩებისაკენ და უცბად სტაცა ხელები თავ-  
თავს შიგ ყანყრატოში.

ფინიამ შაქარი გადაჰყლაპა ხრინწ მორეულის ხელე-  
ბითა.

ყმაწერილი თვალს აჩიდებდა. იგი გრძნობდა, რომ ხელთ  
ეჭირა მხოლოდ თათავის თბილი კისერი. უცბათ ყმაწერილმა  
დაიკუირა: ცხოველს ძლიერ ექბინა.

გულმოსულმა ყმაწერლმა კრაოტიდაც გადმოიღო ბა-  
ლიში, აძოიდო მუხლ ქვეშ და შით თავი გაუკუპიტა თა-  
თავს. რამდენსამე წამს ფინის ტანი ჰაშინლად უცემდა.  
მერმე ფეხები გაჭირა და უქრ. ვად დაუჩინა.

«წუწეია წმოდგა. იკი არ ნანობდა თავის საქცელს,  
მაგრამ კა აწერებდა პატირა ლეში. იუკინა თათავის გაკვდება  
ფანჯარაში, და დედისთვის თხრობა მისი გაქცევა და დაკარ-  
გვა. მერე ფიქრი მარტოვა რადგანაც მიჩედა, რომ მეზობლებს  
შეეძლოთ თვალი მოეკრათ ჩაშინ, როცა ის დააბირებდა თა-  
თავის გადაგდებას, ამიცომაც თავი გასაწყვეპლად შოამზადა,  
დაჯდა დიეანზე და იყა დედის მოლოდინში. ნაკედი ხელი  
სტეხზა. ყმაწერლმა ჯამში ჩასდო ხელი და სიამოვნებით  
დაჭეურებდა სისხლის ნაკადა, რომელიც წყალს ზედ მოქცე-  
ოდა.

ბოლოსაც ბაეშს მოესმა კაბეჭე დედის ფეხსაცმლის ჭრა-  
ჭრნი, და რაკი ადვა შესახეედზაუ, მას მოეჩერენა ეითომეც  
თათავი დაიძრა. არა, სრულიად მომკედარიყო საწყალი ფინი  
და აკტრისამ კარის შესებაზე დინახა მარტოვა ვაჭი, რომე-  
ლიც მასთან მორჩოდა.

დედამ უგულოდ ხელი გადუსეა თავზე ყმაწერლა და,  
რადგანაც თათავის ყეფა აღარ ე'მოდა, გაოცესულმა აკტრი-  
სამ იკათხა:

— სადღა შენი ძმობილიო?

ბაეში მდუმარებდა.

მაშინ მუქარის კილოთი ხელახლა უთხა:

სთქეი, რალ! შენ სწორედ განგებ გავიღო კარი და გა-  
გიშეო..

უცხად აკტრისამ იკივლა.

თვალი მოეკრა პატირა თეორის ლეშისთვის, რომელიც  
უძრავდა განჩითხმულიყო ლოგინის წინ ხალიჩაზედა.

უცხად მუხლი მოიკრა, თოლო ფინია ხელში და ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოხდილი დიდი ბუმბულიანი ქუდი, რომ მორთო ხმამაღლა ტირილი დრამატიზმის ნალველ-ნარევი.

მეცდარისებრ მკრთალი, კბილებ-დაკრეპილი «წუწკია უცქერიდა, თუ დედა მისი რა ნაირად კოცნიდა თათავის ლეშა.

წამოდგა თუ არა, აკტრისამ დაინახა ვაჭის მკრთალი სახე, შენიშვნა წყლული ცერზე და სისხლი წინ-საფარზე.

— ეინ გიყო ეგა? — ჰკითხა დედამ და მხარში ხელი მოკრიდა.

„წუწკია“ პირდაპირ თვალებში ცეირა დაუწყო და უთხრა.

— თათავშაო. მე მოეკალ, რადგანაც ჩემზე უფრო ვიყარდაო.

გულის წყრომის საშინელი ხმა იყო მისდა საპასუხოდ. ყრმაწეილმა იგრძნო, რომ კისერში სტაცის ხელი და ისეთის ძლიერებით შეაგდეს ბნელ საკუჭნაოში, რომ თავი სკიერის ყურს მოარტყა. ბაეშს გონება დაეკარგა.

როცა ერთის საათის შემდეგ გონს მოეიდა, უკუნი წყვილი გარს ეხეთა: არ ჩნდა სინათლე არც მოქლონის პირში და არც კარის ქვეშ. მაგრამ კი მოესმა, რომ ბნელ ოთახში ვიღაც ჩუმად სტიროდა.

მაშინ ბაეშმა ჩაიჩიქა კაჩების წინ და, რადგან დედის წყენა გულს უწუსებდა, ხელი ხელს გარდაჭდია და საშინელის სევდით მოცულმა წაიჩურჩულა:

— დედილო, მიმყიდე ბუხრის მწმენდელს და მეორე თათავი იუიდეს ვერასოდეს ვეღარ იხილავ ჩემ, პირი სახეა!



## წერილი რედაქტორთან

ჩპატიეთ ჩემი გავაღნიერება, ბ. ჩედაქტორი, მაგრამ.  
 როდესაც ზოგიც ჩემი გადა-  
 ეცელებ ხოლმე თვალს, მაშინვე განსვენებულის გრ. ორბე-  
 ლიანის შემდეგი სიტყვები გამიღელვებს თავში: ამ ეირს ეშე-  
 ზედ ეღავაჩაკავე?“ სწორეთ საბრალოზედ საბრალოა უნიჭო  
 და უცოდინარი, რომელიც არა საკუთარის ბუნებისის ნიჭის  
 მოთხოვნილებით და სიმართლით, არამედ რამე ბრძან შემ-  
 თხევეით საზოგადოების კუსის მასწავლებლად არის დაუე-  
 ნებული. ტანჯვით შობილი, ტანჯვით ცხოვრებს ქვეყანაზედ  
 და ტანჯვით ამოსდის ცოდვილი სული. უარესი ტანჯვა-ლა  
 გინდათ კიდევ.—მუდამ დღე თულში აწურებოდე, დავარდნილ  
 სახედარსავით დამდგარ ტვინს უჩიჩხეირებდე: აბა, ასეთი რამე  
 სთქვი, რომ შენმა სპრინტე ქვეყანა გააცისო, და ის კი  
 უოველდედ სისულელით აოცებდეს ქვეყანას?! ეს წინასიტყვა-  
 ობა შემდეგმა გამოიწვია: რამდენისამე წლის წინათ დაეს-  
 წერე ქართულად სცენები მიროვოი სულიასთანა ეს არც  
 დასაბეჭდად დაპიწერია, არც სცენაზედ წარმოსადგენათ, მა-  
 გრამ კიდეც დაიბეჭდა ჩემ დაუკითხავათ,—და დაიბეჭდა ორ-  
 ნაირად: ერთხელ თეატრის ფურულებზედ და მეორეთ ცალ-  
 კე წიგნად,—და კიდეც თამაშობენ სცენაზედ, აქა და პრო-  
 ენცუიაში. თუ მწერლობიდამ ექსორით გაძევებულის კაცისა  
 რამ იბეჭდება, ცხადია, რომ ნაწერის სიცოცხლემ და სიმა-  
 ხეილემ დასძლია პირადს ძმულებაზებას აეტორისადმი და  
 თავისი თავი ძალად დაბეჭდვინა. თუ არა სასცენოთ დაწერილი  
 სცენის მცოდნე არტისტებმა სასცენოთ იცნეს, ალბად კიდევ  
 იქ გამოყენილი ტიპების სიცხოველეს, ენის სიმახეილეს,  
 ან სხვა რამე ღირსებას მოუსყიდნა ისინი. ეს უკელაფერი  
 ცხადია და აღარისთერი, ლარი და ხაზი საჭირო აღარ არის. პირ-  
 ველი წარმოდგენის შემდეგ სცენაზედ, იყერისა ვიღაცა გმი-  
 რი ისეთის თულის წურეით და ტანჯვით ებლაუჭებოდა და



ეჯაჯგურებოდა იმ საწყალ „სუნებს“, რომ მტკრისც კი  
აეტიარებოდა. გუშან დაებრუნდი ქალაქში და გაზეთებიდამ  
შევრეულ რომ კიდევ წარმოუდგენიათ ის „სუნებს“, მა-  
თხენ. არაუკან, რამ ჩევთს ორ ნიჭიერს არტისტს ფაქ. მა-  
შიძეს-მუწიწალა დეკოკატის ფოლქინაც ცის როლში და ქ ბ.  
გ. ბუჩას ელენე ტურაძეების როლში. ხალხი სიცოლით ამოუ-  
წყებოდა. აეჭალის ქუჩელ „ვერავლას“ მეტად სწყებია ს-  
ზოგადოების პოლინეგბა და თავისებურად შოჰკოლია: რა-  
თავ? როთინა? და სხვა. გონიერის გ. მჭირიანია იქამდე მიღის,  
რომ ატრიცებს ე. ტიტულის რიტი სოვერჩინიცა იმნაირი ავე-  
ბულობის დედაკაცია. რომ პოლოში უნდა ყინიოდეს და ის  
კი თავში ყინისო (?!). ერთი სიტყვით მისაყველურებს, რ ტომ  
ჩევნ ჩამალს ამ მიებარე კაი სტრების დაწერა: გასწავლიდათ.  
არა, თქვენი კენება მე, როგორც მიწირებს, სხვევ ვწირავ  
და თქვენი მამლებისთვისა რომ ყური მეგდო, მაშინ მე აღარ  
ვიქნებიდი თქვენი მანა-მოხილი

ՀԱՅՈՒԹ Առելուսնը

რედ ქორმა-ასოციებელი აღმასხვერებელი ნებისმიმა.

ପ୍ରକାଶକ

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ

အောင်မြန်မာရွေ့ ပုဂ္ဂိုလ်မှူး၏ အောင်မြန်မာရွေ့ ပုဂ္ဂိုလ်မှူး၏

០លេខ៣៦៥

კულტურული მეცნიერებების განვითარების მიზანით.